

გიორგი ხინხლაძე

ზოგიერთი ხალხური ჩვეულების გაბმვისათვის.

ადამიანის ბუნებრივი ღირსება, მისი პიროვნული “მეობა”, საკუთარი კეთილი ნების თვითშეგნებაში, თვითგანცდაშია, რისი მიზეზიც უმაღლესი სიკეთისადმი, სრულყოფისადმი არსებითი მისწრაფებაა. ამიტომ, ყოველი მოვალეობა ხალხში აღიქმება ამავე ღროს საღვთო მცნებად და ამდენად უკვე ზნეობრივ კანონად. იდეალისტურ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ სწორედ თავისუფალი ნებითაა ადამიანი ღვთის, მარადიული ცხოვრების თანაზიარი, ანუ ღვთის ხატი და მსგავსი, ხილულის დ უხილავის შემეერთებელი (იხ. არსენ იყალთოელი, “ძეგლისწერა”). გავიხსენოთ ხალხური გამოთქმებიც: “სტუმარი ღვთისაა”, “ქამა ღვთისაა”, “გამარჯვება ღვთისაა” და სხვა. ასე, რომ, საერთო მიზნები, წეს-ჩვეულებები, ანუ ცხოვრების წესი ეკლესიური სწავლების საფუძველზე ყალიბდებოდა, რომლის აქტიურ სოციალურ ფუნქციაზეც ამბობს იოანე ოქროპირი, რომ “არათუ საუკუნოსა ოდენ გვასწავებს, არამედ საწუთოსაცა, თუ ვითარ ვიყოფოდეთ. რამეთუ ესე ამასცა ცხოვრებასა სარგებელ არს და მერმესაცა.” მხატვრულ სიტყვიერებაშიც ხაზგასმულია, რომ ჩვენი ხალხის ზნეობა, ცხოვრების წესი “სულ სახარების რიგზე იყო შედგენილი” (იხ. ალ. ორბელიანი, “ძველი სახლეულობა”) საღვთო მცნებებით მყარდებოდა ასევე განუყოფელი შინაგანი ერთიანობა ცოცხლებისა ღვთის სასუფეველის მკვიდრებთან, წმინდანებთან, წინაპრებთან. რომლებიც “ვითარცა ხატნი მეტყუელნი წინა სხენან სახედ სათნოებისა და სწავლად სიბრძნისა და ყოვლისა ახოვნებისა” (გიორგი ხუცეს-მონაზონი). ხალხშიც მათ “ღოვლათიანებს”, “მედ-დალოცვილებს” თუ “ნაწილიანებს” ეძახდნენ. ამ ღვთაებრივ ერთიანობაში ხედავდნენ დაცვისა და “სახელიანი”, “ქონებიანი” ცხოვრების და ასეთი ცხოვრების საიქიოში გაგრძელების საფუძველს. შდრ. “კეთილი საქმე ცხონებაა სულისო” (წმ. ილია მართალი) ხოლო ზნეობრივი ნორმების დარღვევა—ბუნებრივი თუ სოციალური კატაკლიზმების მომასწავებლად ფასდებოდა, რამეთუ “ცოდვათათვის ქუეყანისათა მიუშვებს ღმერთი განსაცდელსა და ტყვეობასა” (ი. ბატონიშვილი, “კალმასობა”).

ჩვენი მიზანიც ამ შემთხვევაში სწორედ ბუნების მოვლენათა აღქმის, მათი შეფასების ხალხური ნორმების განხილვაა.

ზეციური სამყაროს, საღვთო მადლის ერთ-ერთი მეტაფორა ფოლკლორში იყო “ღრუბელი”, “ცვარი”. მაგალითად: უკვდავების მომნიჭებელი “მზის ცვარი” სწორედ უღვევი სიცოცხლისა და სინათლის მხარეში – “ინდოეთში” მოიპოვებოდაო. ასევე საღვთო “ცვარს”, ანუ “მზისცვარს” უწოდებდა ხალხი ამაღლების საუფლო დღესასწაულსაც. ამგვარი გააზრება წმ. წერილიდან მომდინარეობს, რომელშიც “ღრუბელი”, “ცვარი” ცხოვნება–სასუფეველის იდეას გამოხატავს და თავად მაცხოვრის ერთ-ერთი მეტაფორაა, რომელმან “გუალული კაცთა ბუნებად ცუართაგან მადლისათა მორწყო” (ზოსიმე ათონელი). აქედან გამომდინარე უკავშირდება ასევე ღვთის რჩეულთ-წმინდანებსაც, რომელნიც “აცურევენ ცუარსა საღმრთოსა”. მათ ასე ეწოდათ “ხორცთა უარის-ყოფისათვის და ნივთიერთა საქმეთაგან ამაღლებისა და გონიერთა და საცნაურთა ღრუბელთა თანა შერთვისა” (გიორგი მცირე). შდრ. ხალხური ტრადიციით, “ცა-ღრუბელთ გამგებლობა” წმ. გიორგისაც ებარაო. ეს რწმენა – წარმოდგენაც ეკლესიურ გადმოცემაზეა დაფუძნებული. წმინდა გიორგის ცხოვრებიდან ვიცით, რომ ხალხისათვის სასურველ ამინდში შემწეობაც მიეცა მთავარმოწამეს უფლისაგან: “რა უამს მოაღრუბლო ცათ სეტყვისათვის ქუეყანასა და მოიხსენონ მუნ მდგომარეთა წამება ესე ჩემი, იყავნ განთავისუფლებულ ყოვლისა ჭირისა და განსაცდელისაგან და ნუ მივალს მას ადგილსა ჰაერი მავნებელი, არამედ ცვარი მშვიდობისა ექმნეს მათ საკურნებელად”. ძლიერი გვალვებისას მღვდელი ჯვრით და სახარებით ხელში შემოუვლიდა სოფელს. ავდრის შეწყვეტის მიზნით კი მთელი ხალხის თანდასწრებით ოქროს ან ვერცხლის ხატს გამოასვენებდნენ ტაძრიდან და მდინარეში ამოავლებდნენ. სასურველი ამინდის მიზნით მღვდელს პარაკლისსაც ახდევინებდნენ. წვიმის გადაღებას შესთხოვდნენ ასევე წმ. ელიასაც. სიმბოლურად აღიქმებოდა ასევე ელვა თუ ჭექა-ქუხილიც. გაელვებას ხალხში წმ. გიორგის ბორძალს ეძახდნენ. მეხის დაცემის ადგილს კი “ნაჯვარლენს”, რადგანაც მეხი ჯვრის სახით ეცემოდაო. გაელვება, როგორც ცნობილია, წმ. წერილში უფლის მეორედ დიდებით მოსვლისა და საშინელი სამშჯავროს აზრს გამოხატავს (იხ. მათე, 24, 27). ამიტომაც ეს მოვლენა ხალხში გაიგივებულია ჯვართან, ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვების იარაღთან. ჭექა-ქუხილისას ხალხში პირჯვარს გადაიწერდნენ, თან “წმინდა არს”-ის ლოცვას იტყოდნენ. კვლავ წმინდა წერილი გავიხსენოთ, “ქუხდა უფალი ცით გამო და მალაჰმან მოსცა ხმაჲ თვისი... ელვანი

განამრავლნა და შეაძრწუნნა იგინი”. (ფსალმ. 17. 13. 14). უწმინდური ძალის დასჯის იდეიდან გამომდინარე, ჯვართან ასოცირდებოდა საბრძოლო იარაღებიც – ხმალი, ისარი, შუბი, ნაჯახი და სხვა. ხალხი მათ “ნაწილიანად” და ბოროტი ძალის “შეკვრის” უნარის მქონედ თვლიდა. ასე მაგალითად, დავითის მახვილს ეძახდნენ შურდულს და ამ ბიბლიურ იარაღს ყოველ ქართველს უნახავდით ჯიბეშიო. გავიხსენოთ პოეტის სიტყვებიც, “შიტომ გიგონებ შურდულო, მახვილო დავითისაო! დაბლა მტრის მომგვრებელო, მაღლით ნაკურთხო ღვთისაო” (აკაკი). მშვილობიან დროში შურდულებს დიდი გამოყენება ჰქონდათ მუშტი-კრივებში, რომელთაც ქალაქელები “თამაშას” ეძახდნენ. ხოლო დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი მტრის შემოსევისას შურდულად იყენებდნენ ფაფანაკებს. ილორის წმ. გიორგის ტაძარში ვეება რკინის მშვილდი ინახებოდა, რომელსაც უწმინდური ძალის განდევნის უნარს მიაწერდნენ. სვანეთში გიორგობის დღეობებზე ტაძრებში ხისაგან გამოთლილი ისრები მოჰქონდათ კაცებს, რათა მტრის შემოსევისას ეს ისრები ესროლა მათთვის წმ. გიორგისო. ჯვრისწერის ცერემონიალისას, მეფე-დედოფალს ფეხი ხანჯლის წვერთან ედგათ, რათა “ავი სული არ მოჰკარებოდათ”. ამავე მიზნებით, დიდ ოთხშაბათს, სახლის კარებზე, ისარს ან ლურსმანს ჩაარჭობდნენ. ამ სარწმუნოებრივი აზრიდან გამომდინარე გაელვება ხალხში რკინის გამოჭედვასთან, თუ ისრის გატყორცნასთან ასოცირდებოდა. ამიტომ სამქედლო წმინდა ადგილად მიაჩნდათ, ხოლო მის მფარველად კი წმ. გიორგი, რადგანაც “მას მისცა ქრისტემან ძღვევად ყოველთა მტერთა” (გ. მერჩული). ამიტომაც მქედლობა ხალხში გაგებულ იყო საღვთო მოქმედებად, რომელსაც უწმინდური ძალის “შეკვრა”, “შებოჭვა” შეეძლო, თავად მქედელს კი “ნაწილიანს” “ზედ-დალოცვილს” თუ “ღვთის მეგობარს” ეძახდნენ და მღვდელთან აიგივებდნენ. დიდ ხუთშაბათს ყველა მქედელი დილაადრიან ხმის ამოუღებლად “უმძრახად” სამჯერ ურტყამდა ჩაქუჩს გრდემლზე უწმინდური ძალის “განსადევნელად”. ამ დღესვე ჰედდნენ სპილენძის დიდ რგოლებს, რომელთაც ყოველი მამაკაცი ატარებდა ცერა თითზე და მას დიდი გამოყენება ჰქონდა მუშტი-კრივებში, რომელიც ძველ თბილისში ყოველ კვირა დღეს იმართებოდა ტაძართა მიმდებარე მოედნებზე. დაუმატებთ, რომ კვირა როგორც ვიციოთ, ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთზე და სიკვდილზე გამარჯვების დღეა, რადგან სწორედ კვირას აღდგა უფალი მკვდრეთით. ამიტომ, ყოველი კვირა დღე, აღდგომის სწორია. გავიხსენოთ დაფიცების

ხალხური ფორმულა, “კვირის წირვის მადლმა” და სხვა. ნიშანდობრივია, რომ გადამწყვეტი შეტაკების დღედ ყოველთვის დანიშნული იყო დიდი მარხვის I დღე, რომელსაც ხალხში “შავ” ორშაბათს ეძახდნენ. დიდმარხვა კი ბოროტებისაგან განწმენდა-განახლების “საღვთო ჟამია”, რომელიც გვირგვინდება ბრწყინვალე აღდგომით. ხალხში ასეც ამბობდნენ “მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისა”. სწორედ “შავ” ორშაბათს იმართებოდა “ყეენობის” ხალხური სანახაობა, რომლის კულმინაცია იყო ხის ხმლით კრივი, რომელშიც თითქმის მთელი ქალაქი მონაწილეობდა, რის გამოც ამ თამაშობას ხალხი “ტყუილ ომს” ეძახდა. ბოროტების დათრგუნვა აქ ისტორიული სიუჟეტით იყო გადმოცემული. გარდა ამისა მუშტი-კრივეებს სამხედრო-ვარჯიშის, ომისადმი მუდმივი მზადყოფნის ფუნქციაც ჰქონდა, რაც აუცილებელი იყო გამუდმებული მაჰმადიანური აგრესიის პირობებში. “კაცს გააგულოვნებს, ომს მოანდომებს, ომისა და იარაღის ხმარებას ასწავლის და რჯულისა და მეფის და ქვეყნის მტერზე გამოსაყენებელია” (მ. ბარათაშვილი, “ლექის სწავლის წიგნი”). ამიტომაც ამ მეომრულ თამაშობას საქართველოს მეფენიც (კერძოდ ერეკლე II) ქომაგობდნენ. საინტერესოა, რომ დიდმარხვის დადგომას ძველად, პირველად სწორედ მეფეს ულოცავდა ხალხი და მტერზე გამარჯვებას უსურვებდა. სარწმუნოებისა და მოყვასის დაცვა კი საღვთო მცნებაა, რის გამოც მეომარი ღვთისმსახურთანაა გაიგივებული, ხოლო ასეთ ბრძოლაში თავდადება კი მოწამეობასთან. ქართული მხედრობის მფარველი და წინამძღოლი კი ბოროტებასთან წინამებრძოლი, მთავარმოწამე და ძლევა შემოსილი წმ. გიორგია, რომელსაც ხალხში “გმირს”, “პირველ” მებრძოლს ეძახდნენ და მტრის შემოსევისას თუ ნებისმიერ განსაცდელში მას თხოვდნენ შეწევას. აქვე გავიხსენოთ წმ. გიორგის ხალხური ეპითეტებიც “მოისარი”, “შვილდ-ისრიანი”, “კავ-შვილდიანი” და სხვა. ძველი გადმოცემით, “ქართველთა მეფენიც დროშათა ზედა სახესა წმინდისა გიორგისასა აღმართებდნენ და ამისთვის უწოდეს გიორგიანად” (ტ. გაბაშვილი, “მიმოსვლა”). მტრის შემოსევისას ხალხში გაჰყვიროდნენ, “ბუსურმანის ხელი შეკრული, ქრისტიანის ხელი გამლილიო”. გამათრახებაც ხალხში დასჯის და უწმინდური ძალის “შეკვრის” მოტივს უკავშირდება. მასვე მიეწერება განკურნების ფუნქციაც, რადგან ყოველი სნეულება ხალხში გაგებულია, როგორც ნაცვალგება რაიმე ცოდვისათვის, დანაშაულისათვის, ანუ ღვთის სასჯელი. მათ ასეც ეძახდნენ, განსაკუთრებით ფსიქიურად დაავადე-

ბულებს, – ხატისაგან “გაწკეპლილი”, ხატისაგან “დაჭერილი”. რელიგიური აზრით სწავლა სწორედ უკანონობისათვის, ცოდვისათვის სასჯელს ნიშნავს შეგონებისა და კეთილი ნების სავარჯიშოდ, “სწავლა არს საკანონოდ შოლტის მიღება” (იხ. “ქართული ლექსიკონი”). დასჯისა და დამოძღვრის უფლების გამომხატველია მღვდელმთავრის კვერთხიცი – “კვერთხი არს ჯოხი გრძელი, უთაო, საგვემელად შემცოდეთათვის” (ქართული ლექსიკონი) გავიხსენოთ მეფსალმუნის სიტყვებიც “შიიდეთ სწავლად, ნუუკუე განრისხეს უფალი... განვიხილნე კუერთხითა უსჯულობანი მათნი და გუემითა უსამართლობანი მათნი” (ფსლმ. 2,12; 88,33). გავიხსენოთ აგრეთვე ერთი ეპიზოდი ეფთიმე ათონელის ცხოვრებიდან; წმ. მამა ასე მიმართავს მონასტრის საძმოს – “ღმერთმან მე დამადგინა თქუენდა მსაჯულად და განმგებელად, უკუეთუ უწურთელად მიგიშუნუ, უწყოდეთ, ვითა მას საუკუნესა მწარედ გაისჯებით”. ასეთი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მიზანასახულობა ჰქონდა სწავლას, ანუ წვრთნას. ეს მხატვრულ სიტყვიერებაშიცაა ასახული, “წკეპლის ცემით დაშუშხვა სჯობს საუკუნოდ ცეცხლში ბმათა”. (იხ. დავითიანი).

თავად სიტყვა “კანონი” ბერძნულში, სწორედ სწორ ჯოხს აღნიშნავს, რომელიც უჩვენებს სწორ მიმართულებას. ზემოთქმულიდან გასაგებია თუ რატომ ეძლეოდა გამათრახებას, გაწკეპვლას უწმინდური ძალის განდევნისა თუ განკურნების მნიშვნელობა, ანუ გაგებული იყო როგორც საღვთო მოქმედება. გავიხსენოთ ასევე ხალხური წარმოდგენები წმ. გიორგის მათრახზე, წმ. მთავარანგელოზ მიქაელის შოლტზე, რომლითაც ის სნეულებს კურნავდა. იკონოგრაფიაშიც ასახულია თუ როგორ ლახვრავს წმ. მთავარანგელოზი მიქაელი ეშმაკს, ისე როგორც წმინდა მთავარმოწამე გიორგი ლახვრავს ეშმაკს – დიოკლეტიანეს (იხ. დეკანოზი ალექსანდრე ჩახვაშვილი, “ძღვევად საკვირველი”). ფოლკლორული გმირებიც იახსარი და კოპალა ლახტით მუსრავდნენ დევ-კერპებს. ძველად ასევე ჩვეულებად ჰქონდათ დამარცხებული მტრის გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ გატარება, დასჯის მიზნით და გამათრახება, რასაც “ბერაში გატარებას” ეძახდნენ. გაწკეპვლა იცოდნენ ასევე “ღამისთვის” ჩვეულებებში, როდესაც ახალშობილსა და დედას 15 დღე-ღამის განმავლობაში ღამეს უთევდნენ, თითქოსდა ბორკტი ძალისაგან თავდასაცავად. საქორწილო ცერემონიაშიც, კერძოდ “გვირგვინის მოხდის” რიტუალის შემდეგ, მაყრები მუშტებს დაუშენდნენ ნეთეს მხრებში ან ამათრახებდნენ,

ამასაც “ბერაში გატარებას” ეძახდნენ.

ჯვართან იყო გაიგივებული ხარის რქებიც. “სარქენელი იგი-ძლევად ჯუარისად მტერთა მიმართ და ორნი იგი რქანი- სარწმუნოებად, განსრულებული საქმეთაგან კეთილთა” (სტეფანე მტბევარი). გავიხსენოთ, რომ “ცხოვრების რქა” ეწოდა წმინდა წერილში თავად ქრისტეს. შდრ. “შენ გამო მტერნი ჩუენნი დავრქენეთ” (ფსალმ. 43,6) ხალხში ჩვევად ჰქონდათ ხარის რქებზე სანთლების დანთება. ერთი გადმოცემით კი წმ. გიორგისადმი შეწირულ ხარს ხალხმა რქებზე აღმასები შეაბა, რომლითაც მან გველეშაპი დაამარცხაო. ხარი კი, როგორც ცნობილია, ძირეული ქრისტიანული სიმბოლოა, დაკავშირებული შესაწირავისა და მღვდლობის იდეასთან და გამოხატავს მარადიული მღვდლის-ქრისტეს განგებულებას. აქედან გამომდინარე, უკავშირდება მოციქულებს, საერთოდ ღვთისმსახურთ. მაგალითად, იკონოგრაფიაშიც წმ. ლუკა მახარებელთან და მოციქულთან ხშირად გამოსახულია ხარის თავი, ნიშნად მისი დაუღალავი, თვითგანწირვამდე ერთგული მსახურებისა ღვთის ძისადმი, წმ. სახარების ქადაგებისადმი. ამიტომაც ამბობს ჰაგიოგრაფი, რომ “კუროდ წმიდათავე პირუტყუთაგანი არს” (სტეფანე მტბევარი). შდრ. ფოლკლორშიც, ხარი მუდამ ღვთისშვილებთან, ანუ წმინდანებთანაა დაკავშირებული და იგი ღვთისაგან ნაკურთხად ითვლებოდა. ხალხი მას ხშირად “ღვთისოს” ეძახდა, რაც ეტიმოლოგიურად იგივეა რაც “სამღვთო” ანუ მღვდელი (იხ. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XII, გვ. 194). გავიხსენოთ, რომ წმ. გიორგის ტრადიციულად შეუთქვამდნენ სწორედ ხარს და “ეშვს”- ტახს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხალხურ წარმოდგენებში ხენა-თესვას ისევე მიეწერებოდა ბოროტი ძალის “შეკვრა”, “შებოჭვა”, როგორც გრდემლზე ჩაქუჩის დარტყმას თუ გამათრახებას. ესე იგი უკავშირდებოდა ღვთისმსახურების იდეას. ეს იგივეობაც ღვთის სიტყვაზეა დაფუძნებული; როგორც ვიცით, “თესვა” ღვთის სიტყვის ქადაგებაა. “მთესველი” კი თავად ქრისტეა (იხ. მათე, 13), ხოლო შემდგომ მისი მოციქულნი. ასე, რომ “მუშაკნი” თუ “მთესველნი” ზოგადად წმინდანთა მეტაფორაა. გავიხსენოთ, რომ “ქუეყანის მოქმედი”, ანუ “მიწის მუშაკი” წმ. გიორგის გავრცელებული ეპითეტიცაა. სახვნელი, ანუ ერქვანიც ალეგორიულად ჯვარს უკავშირდება სახითმეტყველებაში; შდრ. “ერქვანითა სარწმუნოებისათა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი და დასთესეს მათ შორის თესლი კეთილად მსახურისა სარწმუნოებისად...” (არსენ იყალთოელი). ამგვარი

აღქმაა ხალხშიც. შდრ. “შენი ჭირიმე გუთანო, ნაკურთხო ქრისტეს ჯვართა” (რ. ერისთავი). ხვნის წინ კი წესისამებრ, გუთანზე სანთლებს დაანთებდნენ, პირჯვარს დაიწერდნენ და ღმერთს უხვ მოსავალს შესთხოვდნენ – “შენად საზღვნოდ, შენად სამსახურადო” (თუშეთი). ხვნის სეზონი კი ტრადიციულად, ღვთისმშობლის ხარების ღღესასწაულიდან დგებოდა.

მჭედელი განმარტებულია როგორც “კვერით ხურო”. გავიხსენოთ, რომ ტაძარში, საკურთხეველის ჩრდილოეთ მხარეზე მდგარ მაგიდას “სამკვეთლო” ეწოდება, რომელზეც პური და ღვინო შეიწირება წმ. ზიარების საიდუმლოსათვის. ასე, რომ, ამ სიტყვის სემანტიკა შესაწირავის და მღვდელმოქმედების იდეას უკავშირდება, გამოხატავს რა ქრისტეს განგებულებას – მარადიული მღვდლისას. “რომელმან ივნო ჩუენთვის მღვდელმან მან საუკუნემან და ჩუენ ყოველნი გუაცხოვნა” (გ. მერჩული). როგორც წმ. ეკლესია განმარტავს, უფალმა ჩუენმა იესო ქრისტემ მთელი ჩვენი ცოდვები, ანუ “ძველი კაცი” ჯვარზე “მიაჭედა” – “ბეჭდის საყოფელი იგი საშჯელისა ჩუენისაჲ ჭუარსა შემშქულა” (კურდანაჲ). ჯვარი წმინდა სამსხვერპლოა, რომელზეც შეიწირა მსხვერპლი მთელი კაცობრიობისათვის და სწორედ ჯვრით “მონადირა” უფალმა ეშმაკი, “რომელ შეიპყრა და შემუსრა მანქანებანი მისნი” (იოანე საბანისძე), ანუ მოაკვდინა ჯოჯოხეთი და სიკვდილი. ამიტომაც ეწოდება მაცხოვარს სახითმეტყველებაში, ერთდროულად შემწირველი და შეწირული, კეთილი “მონადირე” თუ “მეთევზე”. ასე, რომ “მონადირეებად”, “მეთევზეებად” ღვთისმსახურნი იგულისხმებიან. გავიხსენოთ ღვთის სიტყვა: “მოვედით და შემომიდეგით მე და გყვენ თქუენ მესათხველე კაცთა” (მარკოზი 1,17). შდრ. ჰიმნოგრაფიაში ასევე ეწოდება წმ. გიორგისაც, “ისარნი იგი ძლიერის ღესულნი ღღეს განაწონა გულსა მგლისასა წმიდამან და ვითარცა მონადირემან ქრისტემან დასცა მხეცი იგი მძვინვარე” (იოანე მინჩხი). დავუმატებთ, რომ წმ. გიორგი ღვთისმსახურად – მღვდლათაც მოიხსენიება (იხ. დეკანოზი ალექსანდრე ჩახვაშვილი. “ძღვევად საკვირველი”). “ბადეც” წმ. წერილში მოციქულთა მოძღვრების ალეგორიაა: “მსგავს არს სასუფეველი ცათა სათრომელსა ბადესა, რომელი სდვიან ზღუასა, რომელმან ყოველთაგან თევზთა შეკრიბის” (მათე. 13,17). რადგან სწორედ მოციქულებს და მათ მემკვიდრეებს – მღვდლებს, მიანიჭა უფალმა “შეკრის” და “განხნის”, ანუ დასჯის თუ შენდობის უფლება.

კვლავ ღვთის სიტყვა გავიხსენოთ: “ამინ გეტყვ თქუნ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განხსნათ ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა” (მათე; 18,18). გავიხსენოთ, რომ ღვთისმსახური ხალხშიც ღვთისაგან “დაჰქერილად” თუ “მონადირებულად” ითვლებოდა. შდრ. ასე უწოდებს თავს პავლე მოციქულიც: “ მე, პავლე, კრული ქრისტე იესოსი” (ეფეს. 3,1).

მოციქულებს ღვთის სიტყვაში ეწოდებათ ასევე “ქენი ქუხილისანი” (მარკოზი, 3,17). ხოლო საღვთო “ქუხილი”, ღვთაებრივი “ისრების” ტყორცნა ქადაგების ალეგორიაა. “ბრძანებითა უფლისაჲთა კიდეთა ქუეყანისათა წარივლინნეს მოციქულნი ისრად რჩეულად და ელვად ნათლისად თითოეულსა ადგილსა” (ნიკოლოს გულაბერიძე). დავუმატებთ ასევე, რომ “ხურობა” ანუ “სახლთაღმშენებლობა” დაფარული აზრით ასევე ეკლესიური მსახურების იდეას გამოხატავს. შდრ. “მე გეხვეწები თომასა ინდოეთისა ხუროსა” (იხ. “მანანას თქმული შაირი”. ქართული მწერლობა, VII).

ამრიგად, სამჭედლოსთან დაკავშირებული ჩვეულებები შეწირვისა და ღვთისმსახურების იდეასთანაა დაკავშირებული. ესაა მიზეზი, რომ ქეჩა-ქუხილი, ჭედვა, გამათრახება თუ მიწის დამუშავება გაიგება სიმბოლურად, ანუ უწმინდური ძალის “შებოქვად”, “შეკვრად”, ხოლო საბრძოლო იარაღები თუ ელვა გაიგივებულია ჯვართან -ქრისტეს მიერ ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვების იარაღთან. “მჭედელი” თუ “მონადირე”, ფოლკლორშიც ღვთის რჩეულთა-წმინდანთა ალეგორიაა. სამჭედლოს მფარველობაც, ხალხშიც წმ. მთავარმოწამე გიორგის უკავშირდება. ამგვარი ინტერპრეტაცია, შეფასებები ძირეული სახარებისეული მცნებებიდან მომდინარეობს. ასე, რომ წმ. ეკლესია არა მარტო საერთო მოძღვრებით, არამედ საერთო მსოფლალქმით, საერთო ზნე-ჩვეულებებითაც აერთიანებდა ხალხს.

ლიტერატურა

1. ახალი აღთქმად. თბ. 1963.
2. არსენ იყალთოელი. ძეგლისწერა, ქართული მწერლობა, II. თბ. 1987.
3. აღ. ორბელიანი. ჩვენი ძველი სახლეთობანი. ქართული მწერლობა. IX. 1992.
4. ზ. ანჩისხატელი. საყველიერო და საორშაბათო საუბარი. დროება, 48, 1880.
5. ნ. აბაკელია. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ. 1997.
6. პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XII. თბ. 1973.
7. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ. 1991.
8. "შავი" ორშაბათი, ივერია, 88, 1888.
9. ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება. თბ. 1997.

გიორგი ჩინჩალაძე

К интерпретаций некоторых народных обычаев

Резюме

В работе дана аллегорическая интерпретация некоторых народных обычаев. Основная идея таких действий, как ковка железа, удар мольния или удар кнута. эта идея смерти и обновления; По этому они воспринимались в народе как Священнодействие, который «изгонял», «связывал» злого духа, а мольния, сабля, стрела, лемех и рага быка отождествлялись с крестом – знаком победы Христа над адом и смертью. «Кузнец» или «Охотник» это сакральные метафоры подразумевающие Святых. Покровителем кузнечного дела в народе, считался Св. Георгий. Эти оценивания и интерпретации формировались на основе учения Святой Христовой Церкви.